Ч Е М П И О Н А Т   С С С Р

1 9 7 4

3 НОЯБРЯ

«КАРПАТЫ» (Львов)	**«ДИНАМО» (Тбилиси)**
1. А. Ракитский	1. Д. Гогия
2. И. Герег	2. Р. Дзодзуашвили
3. Р. Поточняк	3. В. Челидзе
4. Ф. Чорба	4. М. Хурцилава
5. А. Андрющенко	5. З. Эбралидзе
6. Л. Броварский	6. Г. Гавашели
7. Г. Лихачев	7. М. Мачаидзе
8. О. Савка	8. К. Асатиани
9. В. Данилюк	9. В. Гуцаев
10. Я. Кикоть	10. Г. Мачаидзе
11. Э. Козинкевич	11. Т. Есебуа
Ст. тренер — **Э. ЮСТ**	Ст. тренер — **М. ЯКУШИН**
К-н команды — **Р. ПОТОЧНЯК**	К-н команды — **М. ХУРЦИЛАВА**

(О возможных изменениях будет сообщено по радиосети стадиона)

Начало матча в 16 часов

ფასი 5 კაპ. Цена 5 коп.

Зак. 3830 Тираж 3.000 УЭ 04765



უჩვეულო კონკურენტები

ჩვეულებრივი ამბავია, რომ ყოველი ჩემპიონატის დასასრულს მდგომარეობა განსაკუთრებით იძაბება ორი კატეგორიის გუნდებს შორის: ერთნი იბრძვიან ოქროს მედლებისათვის და ცხრილის სათავეში შეუპოვარი კონკურენცია იმართება ხოლმე ფავორიტთა დონეზე, მეორენი კი აუტსაიდერთა რიგებში იმყოფებიან და არანაკლები დავა აქვთ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

წლეულს პირველი კატეგორიის ჯგუფი ფაქტიურად არ არსებობს, ვინაიდან ოქროს მედლებს ჰყავს მხოლოდ ერთი პრეტენდენტი — კიევის „დინამო". უკვე დიდი ხანია ეს გუნდი ერთპიროვნული ლიდერია და რამდენადმე მაინც სერიოზული მეტოქე, რომელსაც შეეძლოს შეარყიოს მისი მდგომარეობა, მას არ გააჩნია, აი, მეორე კატეგორია კი, ე. ი. გუნდები, რომლებიც იბრძვიან უძლიერესთა შორის დასარჩენად, წლეულს უჩვეულოდ მრავალრიცხოვანია. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ გათამაშების მონაწილეთა თითქმის ნახევარს უხდება იზრუნოს ამ რთული პრობლემის წარმატებით გადასაჭრელად. კარგა ხანია ასეთი დაძაბულობა არ ყოფილა ცხრილის ქვემო ნახევარში.

დღევანდელი მატჩის მონაწილენი სწორედ იმ გუნდების რიცხვში იმყოფებიან, რომლებსაც ჩემპიონატის ფინიშზე მთელი ძალების დაძაბვით უწევთ ბრძოლა ადრე განცდილი დანაკლისის ასანაზღაურებლად. თუ ლვოვის „კარპატისთვის", რომელიც სულ მეოთხე წელია უძლიერესთა შორის გამოდის და ჯერ კიდევ არა აქვს შეძენილი საკმაო გამოცდილება ეს ამოცანა ნორმალური მოვლენაა, თბილისის „დინამოსთვის", სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის, მრავალგზის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორისთვის, მისი დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა მძიმე, სერიოზულ ჩავარდნად უნდა მივიჩნიოთ.

სხვათა შორის, დინამოელები მთელი ჩემპიონატის მსვლელობაში იმყოფებიან ამ არასახარბიელო მდგომარეობაში, „კარპატის" საქმეები კი სეზონის დასაწყისში გაცილებით უფრო უკეთესი იყო და საგანგაშო მას არაფერი ჰქონდა. 5 ტურის შემდეგ ლვოვის გუნდი მესამე ადგილზე იმყოფებოდა „დნეპრისა" და კიევის „დინამოს" შემდეგ, მერე თანდათან ჩამოქვეითდა მეოთხეზე, მერვეზე, მეათეზე, პირველი წრის დასასრულს კი სახიფათო ზონაში აღმოჩნდა თავის დღევანდელ მეტოქესთან ერთად. რომ ბოლო 8 ტურში მოპოვებული წარმატებები არა, „კარპატის" საქმეები ახლა ყოვლად უიმედო და უპერსპექტივო იქნებოდა. ლვოველებმა შეძლეს იმ აუცილებელი მარაგის შევსება, რომელმაც მათ შეუნარჩუნა ლიგაში დარჩენის შანსი. წარმატებათა სერია მათ დაიწყეს ალმა-ათაში მოპოვებული გამარჯვებით (2:0), შემდეგ ფრედ ითამაშეს კიევში (1:1), 2 ქულა აიღეს „ნისტრუსთან" (3:0), მოუგეს „დნეპრს" (4:3), მოსკოვის „ტორპედოს" (1:0), ფრედ დაამთავრეს მატჩი „არარატთან" (1:1). ამ სერიაში „კარპატიმ" მხოლოდ 2 მარცხი განიცადა და ორივე გასვლაზე: „ფახთაქორთან" — 0:1 და ცსკა-სთან — 0:2.

თბილისელებს უფრო ძნელი კალენდარი ჰქონდათ გასვლითი მატჩების თვალსაზრისით. მათ მოსკოვში დაამარცხეს ცსკა (1:0), ლენინგრადში — „ზენიტი" (2:1), ფრედ ითამაშეს დნეპროპეტროვსკში (0:0), ერევანში (2:2), დონეცკში (1:1), შინ ქულა აიღეს მოსკოველ თანაკლუბელებთან (0:0) და დამარცხნენ მხოლოდ „სპარტაკთან" (0:1).

ასეთია საერთო ფორმებში დღევანდელი უკიდურესად საპასუხისმგებლო მატჩის პრეამბულა. სტუმრებიც და მასპინძლებიც მხოლოდ ერთი მისწრაფებით გამოვლენ მინდორზე: იბრძოლონ მთელი შესაძლებლობით, ძალების დაუზოგავად.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (კ.)	26	13	11	2	41—15	37
„ჩერნომორ."	26	11	10	5	33—25	32
„სპარტაკი"	26	11	9	6	29—22	31
„ტორპედო"	26	11	7	8	30—23	29
„დინ." (მ.)	26	9	10	7	37—26	28
„არარატი"	26	9	9	8	31—24	27
„შახტიორი"	26	8	11	7	31—28	27
„ფახთაქ."	26	9	8	9	40—37	26
„ზენიტი"	26	6	14	6	29—37	26
„კარპატი"	26	6	11	9	25—28	23
„ქაირათი"	26	7	9	10	34—39	23
„ზარია"	26	7	9	10	27—36	23
„დინ." (თბ.)	26	5	13	8	21—31	23
„დნეპრი"	26	7	9	10	24—35	23
ცსკა	26	7	8	11	27—32	22
„ნისტრუ"	26	4	8	14	27—48	16

ЧЕТВЕРТЫЙ ГОД В ВЫСШЕЙ ЛИГЕ

Львовские «Карпаты» всего четвертый год выступают в высшей лиге нашего футбола. Срок, конечно, небольшой, за четыре года трудно приобрести все качества, необходимые для успешной борьбы с опытными, именитыми представителями группы сильнейших, но львовские футболисты смело, с большим желанием провели сезон дебюта (1971 год) и завоевали X место.

Следующие, 1972 и 1973 годы «Карпаты» вновь успешно справлялись с основной задачей и, заняв оба раза XIV место, сохранили место в высшей лиге. Игра карпатских футболистов отличается высокой техникой, быстротой, азартом. Это единственная команда в истории советского футбола, которая сумела завоевать Кубок СССР, представляя т. н. «второй эшелон». Это было в 1969 году, когда «Карпаты» в финальном матче сумели нанести поражение армейской команде Ростова-на-Дону со счетом 2 : 1.

Победа в розыгрыше Кубка страны явилась стимулом, заставившим команду с удвоенной энергией бороться за выход в высшую лигу. Собственно, определенный опыт у команды уже был — в 1968 году «Карпаты» участвовали в финальной пульке, проводимой в г. Сочи, но тогда успех сопутствовал свердловскому «Уралмашу», а львовяне остались на II месте. В 1970 году турнир команд I лиги «Карпаты» провели отлично. Став лидером уже к концу первого круга и не упустив ведущего положения до конца розыгрыша, команда по праву заслужила путевку в высшую лигу.

Динамовцы Тбилиси в матчах чемпионатов СССР имеют заметный перевес над «Карпатами». 1971 год — 2 : 2, 0 : 0, 1972 год — 0 : 0, 5 : 1, 1973 года — 3 : 0, 3 : 1, матч первого круга нынешнего розыгрыша во Львове закончился вничью — 0 : 0. В Кубке страны тбилисцы с львовянами играли в 1972 году. Оба матча закончились вничью — 0 : 0 и 1 : 1, но гол, забитый на поле соперника, дал преимущество «Карпатам».

Сегодняшний матч первенства имеет огромное значение для обоих команд. И тбилисское «Динамо» и львовские «Карпаты», находясь в опасной зоне, имеют равное количество очков — по 23, победа обоим нужна как воздух, поэтому матч обещает быть предельно напряженным, бескомпромиссным, захватывающим.

Календарь оставшихся игр

10 ноября

«Шахтер» — ЦСКА
«Заря» — «Торпедо»
«Днепр» — «Динамо» М.
«Кайрат» — «Спартак»
«Пахтакор» — «Динамо» К.
«Карпаты» — «Зенит»
«Черноморец» — «Арарат»
«Нистру» — «Динамо» Тб.

17 ноября

«Арарат» — «Нистру»
«Динамо» Тб. — «Черноморец»
«Шахтер» — «Торпедо»
«Заря» — ЦСКА
«Днепр» — «Зенит»
«Кайрат» — «Динамо» К.
«Пахтакор» — «Спартак»
«Карпаты» — «Динамо» М.

20 ноября

ЦСКА — «Кайрат»

21 ноября

«Торпедо» — «Пахтакор»

22 ноября

«Арарат» — «Шахтер»
«Спартак» — «Карпаты»
«Динамо» Тб. — «Заря»
«Зенит» — «Динамо» К.
«Черноморец» — Динамо» М.
«Нистру» — «Днепр»